

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო**

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,

ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 82

ნინოშვილის ქ., №35

ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 0 5

ქ. ბათუმი

13 ივლისი, 2016 წ.

**„ბსუ-ს ანსამბლების (ცეკვის, სიმღერის), შემოქმედებითი ჯგუფების და სპორტული გუნდების
შექმნისა და მათი საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, სტუდენტთა მხარდაჭერისა და მომსახურების სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (29.06.2016, №795052), წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს „ბსუ-ს ანსამბლების (ცეკვის, სიმღერის), შემოქმედებითი ჯგუფების და სპორტული გუნდების შექმნისა და მათი საქმიანობის წესი (დანართი N1).
2. წინამდებარე გადაწყვეტილების გამოცემამდე ბსუ-ში არსებული ანსამბლების (ცეკვის, სიმღერის), შემოქმედებითი ჯგუფები და სპორტული გუნდები ჩაითვალოს ამ წესის შესაბამისად შექმნილად და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ეთხოვოს ანსამბლების/ჯგუფების/გუნდების წევრებთან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმებისათვის შესაბამისი დონისძიებების გატარება.
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი

დ. ბარათაშვილი

ბსუ-ს ანსამბლების (ცეკვის, სიმღერის), შემოქმედებითი ჯგუფების და სპორტული გუნდების შექმნისა და მათი საქმიანობის წესი

1. ბსუ-ს ანსამბლები (ცეკვის, სიმღერის), შემოქმედებითი ჯგუფები და სპორტულ გუნდები იქმნება (შემადგენლობა მტკიცდება) ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, ბსუ-ს დამხმარე სტრუქტურული ერთეულის - სტუდენტთა მხარდაჭერისა და მომსახურების სამსახურის (შემდეგში „სამსახური“) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.
2. სამსახურის უფროსი ბსუს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს:
 - ა) ანსამბლი/ჯგუფი/გუნდი ჩარცხვის მსურველს განცხადებას და ხელმოწერილ ხელშეკრულებას (არსსრულოვანი მსურველს შემთხვევაში განცხადებას და ხელშეკრულებას ხელს აწერს ასევე კანონიერო წარმომადგენელი);
 - ბ) სპორტული გუნდების, მუსიკალური ანსამბლებისა და შემოქმედებითი ჯგუფების საქმიანობის წარმართვის მიზნით შესაბამისი პერსონალის მოწვევისა და მათი ფუნქციების აღწერილობის თაობაზე (ფუტსალის მწვრთნელი, კრივის მწვრთნელი, რაგბის მწვრთნელი, მანსანკანის სცენარისტის მოწვევა და სხვა) წინადადებებს;
 - გ) სპორტული გუნდების, მუსიკალური ანსამბლებისა და შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით გასამართი ღონისძიებების დაფინანსების საჭიროების თაობაზე წინადადებებს;
3. სპორტული გუნდების, მუსიკალური ანსამბლებისა და შემოქმედებითი ჯგუფების საქმიანობის დაფინანსება ხორციელდება უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესაბამისი მუხლიდან (მუხლებიდან), მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოცემული ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე.